ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

დამატებითი სესია

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება. ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს. გაითვალისწინეთ, ტესტის II ნაწილში მოცემულია ორი ტექსტი. უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულოთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

(16 ქულა) 1.

გადმოცემის თანახმად 1823 წლის 7 აპრილს 16 წლის უილიამ ელისმა, რომელიც ინგლისის ქალაქ რაგბის ფეხბურთელთა გუნდში თამაშობდა წესი დაარღვია – ბურთს ხელი დატაცა და მეტოქის კარისკენ გაიქცა. ამით მან საფუძველი დაუდო სპორტის ახალ სახეობას. მართალია, ეს ვერსია ოფიციალურათ უარყოფილია, მაგრამ რაგბის მთავარი ჯილდო მსოფლიოს თასი, სწორედ ელისის სახელობისაა.

თბილისში რაგბის საჩვენებელი მატჩები 1948-1949 წლებში გაიმართა თუმცა ქართული რაგბის ისტორია 1959 წლის 15 ოქტომბერიდან იწყება. ამ დღეს ფრანგმა ემიგრანტმა ჟაკ ასპეკიანმა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სარაგბო კლუბი დააარსა. 1962 წელს გაიმართა პირველი შეჯიბრება თბილისის პირველობა, რაშიც ოთხი გუნდი მონაწილეობდა. ყველას პოლიტექნიკურ ინსტიტუტის გუნდმა სძლია და ჩემპიონობა მოიპოვა. ლელობურთის ქვეყანაში რაგბი უფროდაუფრო პოპულარული ხდებოდა. 1980-იან წლებში ლიდერობდა ქუთაისის „აია“ რომელმაც მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოუტანა ჩვენს ქვეყანას.

1989 წელს შეიქმნა საქართველოს ეროვნული ნაკრები. „ბორჯღალოსნებმა“ არაერთ წარმატებებს მიაღწიეს. მორაგბეთა ნაკრები პირველი ქართული გუნდია, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზა.

II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი ტექსტიდან ერთ-ერთი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულეთ!

ტექსტი I

ყურადღებით წაიკითხეთ მურმან ლებანიძის ლექსი „ანა კალანდაძეს“:

ორმოცდახუთში,
როცა დაცხრნენ სისხლის წვიმები,[1]
მზემ იჭიატა
და წყვდიადის ფარდა გადაჭრა,
ანაზდად გვესმა
ჩვენ წკრიალი შენი სიმების,
რომ წარღვნას
ნოეს კიდობანი უკვე გადარჩა.

მოვიხედე და
დაგინახე – შენ ყვავილს თვლიდი:
ეს – კორჩიოტა,
ეს – ყაყაჩო, ესეც – ბაია...
და მე გითხარი:
– ეგ ბილიკი ზეცისკენ მიდის,
ფეხი დაადგი
ღრუბლის ქულას, ჩემო დაია!

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

[1] იგულისხმება მეორე მსოფლიო ომის დასრულება, რომლის მონაწილეც იყო ავტორი.

ჩვენ ვბრუნდებოდით
სამშობლოში სისხლიან მინდვრით
(გამოუცდელი
და უხეში ჩვენი ჩანგებით!),
სადაც ჯვარს ვეცვით,
სად უგონოდ კაცის სისხლს ვღვრიდით,
ომის ფრინველი
სად სულს წეწდა ცეცხლის ჭანგებით;

შენ ორი ქვეყნის
საზღვრად იდექ, პაწია ქალი,
საკვირველ იყო
და იდუმალ ჟღერა სიმების,
მზე იყო მკრთალი,
ყურს გიპყრობდა ქვეყანა მთვრალი
და ფრთადაწყობით
მოფრინავდნენ სერაფიმები...

შენ მიგვანიშნე
პოეზიის საგანი ზუსტი –

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

წიაღი სულის,
კვალად ზეცის ლურჯი ნაჭერი;
შენ შეახსენე
სისხლით მაძღარს ყვავილი სუსტი,
შენ უმაღლესი
სათნოებით გულში დაგვჭერი.

მშვენიერება
მათ, უგუნურთ, ამაოდ ჰღუპეს, –
მე ხომ გითხარი:
– ეგ ბილიკი ზეცას გაიარს...
დაადგი ფეხი
გაბედულად გაპენტილ ღრუბელს!
ფეხი დაადგი
ღრუბლის ქულას, ჩემო დაია!

დროდადრო მოვალ,
გამხნევო და ვამხნევო, რათა
მოწვდილი ხილით,

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

შენი ხელით დასხმული ყავით,
მოვიბაასოთ
საიდუმლო ხმელთა და ცათა
და უმაღლესი
პოეზიის ვისუნთქოთ ჰავით.

ვინ – უზენაესს
და ზეციურს მიელტვის მხოლოდ,
ვის – სისხლი გვწვეთავს
ყოფიერით, ნაირ-ნაირით;
მე მიხარია,
რომ შენ გვერდით, შენს დროში ვცხოვრობ,
რომ შენთან ერთად
საზიარო ვსუნთქავთ ჰაერით.

წაკითხულია
ვარსკვლავთ ხომლი, მზის ბილინგვები,
მიწიერის და
ბიწიერის გშვენის მკვლელობა;
ცის ბილიკებით,

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

დედოფალო, ცის ბილიკებით,
ცის ბილიკებით
კვლავ განაგრძე შენი მსვლელობა!

ამაოდ დაშვრნენ,
მათ, უგუნურთ, ლაჟვარდი ჰგუბეს,
მე ხომ გითხარი:
– ეგ ბილიკი ზეცას გაიარს!
დაადგი ფეხი
გაბედულად გაპენტილ ღრუბელს!
ფეხი დაადგი
ღრუბლის ქულას, ჩემო დაია!

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რა ემოციურ განწყობას გამოხატავს სიტყვები: *„მზემ იჭიატა და წყვდიადის ფარდა გადაჭრა“*?

ა) გაოცებასა და მოლოდინს.
ბ) სევდასა და გაურკვევლობას.
გ) სიხარულსა და ოპტიმიზმს.
დ) უიმედობასა და გულგრილობას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

(1) 3. რა მხატვრული საშუალებაა: *„...წარღვნას ნოეს კიდობანი უკვე გადარჩა“*?

ა) ალუზია.

ბ) გაპიროვნება.

გ) ეპითეტი.

დ) შედარება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

(1) 4. რის თქმა სურს ავტორს სიტყვებით: *„ეგ ბილიკი ზეცისკენ მიდის“*?

ა) პოეტი გადარჩენის იმედს უნდა იძლეოდეს.

ბ) პოეტს მხოლოდ შთამომავლობა დააფასებს.

გ) შემოქმედი დიდებას უნდა ესწრაფოდეს.

დ) შემოქმედს საყოველთაო აღიარება ელის.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

(1) 5. რას მიემართება ავტორის სიტყვები: *„საკვირველ იყო და იდუმალ ჟღერა სიმების...“*?

ა) ანა კალანდაძის პოეტურ შემოქმედებას.

ბ) ნაომარი პოეტების უხეშ ჩანგებს.

გ) ომში გამარჯვების მძაფრ სიხარულს.

დ) სერაფიმების ხმაშეწყობილ გალობას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

(1) 6. რას გულისხმობს ავტორი, როცა ანა კალანდაძეს მიმართავს:

„შენ მიგვანიშნე
პოეზიის საგანი ზუსტი“?

ა) რომ პოეტმა განგვაცდევინა შემოქმედებითი სიხარული.
ბ) რომ პოეტმა განგვისაზღვრა შემოქმედის ცხოვრების წესი.
გ) რომ პოეტმა განსხვავებულად დაგვანახვა პოეზიის ფუნქცია.
დ) რომ პოეტმა შეცვალა ქართული ლექსთწყობის ტრადიციები.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

(1) 7. რა მხატვრული საშუალებაა *„პოეზიის ვისუნთქოთ ჰავით“*?

ა) ალიტერაცია.

ბ) ეპითეტი.

გ) მეტაფორა.

დ) შედარება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

(1) 8. რას გამოხატავს სიტყვები:

„ვის – სისხლი გვწვეთავს
ყოფიერით, ნაირ-ნაირით“?

ა) ადამიანების ყოველდღიური ყოფა მძიმე და პრობლემებით სავსეა.

ბ) შემოქმედი ადამიანები განსაცდელს ადვილად ვერ უმკლავდებიან.

გ) შემოქმედი ადამიანები მწარე და სევდიანი მოგონებებით იტანჯებიან.

დ) წარსულისადმი ადამიანების დამოკიდებულება განსხვავებულია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

(1) 9. რის თქმა სურს ავტორს სიტყვებით: *„...რომ შენთან ერთად საზიარო ვსუნთქავთ ჰაერით“*?

ა) ეამაყება, რომ დიდი პოეტის თანამედროვეა.

ბ) უხარია, რომ დროდადრო პოეტთან საუბრობს.

გ) ფიქრობს, რომ თვითონაც გამორჩეული პოეტია.

დ) წუხს, რომ პოეტს სათანადოდ ვერ ეხმარება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

(1) 10. რომელი ფრაზა გამოხატავს აზრს, რომ პოეტმა ზნეობრივ სრულყოფილებას მიაღწია?

ა) „მიწიერის და ბიწიერის გშვენის მკვლელობა...“
ბ) „მოვიბაასოთ საიდუმლო ხმელთა და ცათა...“
გ) „დაადგი ფეხი გაბედულად გაპენტილ ღრუბელს!“
დ) „შენ ორი ქვეყნის საზღვრად იდექ, პაწია ქალი...“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

(1) 11. რას ნიშნავს: *„ამაოდ დაშვრნენ“*?

ა) ბევრი ბოროტება ჩაიდინეს.

ბ) გული ვერაფერს დაუდეს.

გ) მძიმე შრომა გასწიეს.

დ) მიზანს ვერ მიაღწიეს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. ღირსეული ადამიანის დაფასება მხოლოდ ღირსეულ საზოგადოებას შეუძლია.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი II

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი გიორგი მერჩულის თხზულებიდან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“:

„ბრძნად მეტყუელებაი ვეცხლი არს წმიდაი, ხოლო დუმილი – ოქროი რჩეული“, ვითარცა თქუა სოლომონ.

არამედ აწ მე ნაკლულევანებაი ჩემი არა მიფლობს დუმილად და უმჯობესად შემირაცხიეს, რაითა ვიტყოდი ღირსად ცხორებასა ღმერთშემოსილთა კაცთასა – ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისა და მოყუასთა და მოწაფეთა მისთასა – მადლითა და შეწევნითა ღმრთისაითა, რაოდენცა შეუძლო უწყებად მსმენელთა ჭეშმარიტად თხრობილი მოწაფეთაგან და მოწაფის მოწაფეთაგან მის წმიდისათა.

ამათ ნეტართა შორის გამობრწყინდა მადლითა სავსეი, განსრულებული სიბრძნითა, დიდი მღდელი და კეთილად განმგებელი მოღვაწეი და უდაბნოთა ქალაქმყოფელი, ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი, სანატრელი გრიგოლ, სულიერად მამაი და წინამძღუარი და მაშენებელი ხანძთისა და შატბერდისაი – ორთა ამათ დიდებულთა მონასტერთაი, რომელი ექმნა სახე კეთილის ყოველთა მის ჟამისა მეუდაბნოეთა მამათა ახლად შენებასა მათსა.

ესე იყო შვილი წარჩინებულთა დიდებულთა და მართლმორწმუნეთა მამა-დედათაი და სახლსა შინა სამეუფოსა დიდისა ნერსე ერისთვისასა აღზრდილ იყო ხელითა კეთილად მსახურისა დედოფლისა, ნერსეს ცოლისაითა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა ძმისწული მისი.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ხოლო გულისხმიერობაი სწავლისაი განსაკვირვებელი იყო ფრიად, რამეთუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა „დავითი“ და ხმითა სასწავლელი სწავლაი საეკლესიოი, სამოძღუროი. ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაიცა ისწავა მრავალთა ენათაი და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა. ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაი ისწავა კეთილად და, რომელი პოვის სიტყუაი კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის. და განითქუა სისრულე იგი მისი სახელოვნად ყოველთა შორის. ხოლო გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნ.

სიტყუაი მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისაითა. რაჟამს იტყვინ, ბრძნად აღაღის პირი თვისი და წესი განუჩინის ენასა თვისსა. და ჰასაკისა ზრდასა თანა სათნოებაიცა კეთილი იზარდებოდა, რამეთუ არა იყო, ვითარცა ჭაბუკი, მზუაობარ და ჭამადთა გულისსათქუმელთა მოყუარე. და ესრეთ მიიღის საზრდელი საგლახაკოი ხორცთა თვისთა განსამტკიცებელად ნეტარმან გრიგოლ, მდაბალმან გულითა და გლახაკმან სულითა, მყუდრომან ქცევითა და მოწყალემან გონებითა.

ხოლო იყო ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოლად კეთილ, სრულიად გუამითა მრთელ და სულითა უბიწო.

მაშინ ხელმწიფეთა მათ, აღმზრდელთა მისთა და სანატრელმან დედამან მისმან და ერისა სიმრავლემან ინებეს ხუცად კურთხევაი ამის ნეტარისაი და ჰრქუეს:

– შვილო, ყოლად კეთილო და სარწმუნოო ქრისტეს მონაო, აჰა, მოიწია ჟამი წინაისწარმეტყუელისა დავითის თქუმულისაი, რომელსა იტყვის: „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა? არამედ უბრალოი ხელითა და წმიდაი გულითა“. და აწ შენ გპოვა ქრისტემან უბრალოი ხელითა და წმიდაი გულითა და რაითა შენ აღხვიდე მთასა უფლისასა და დადგე ადგილსა წმიდასა მისსა შემწირველად წმიდასა და უსისხლოსა მსხუერპლსა მისსა ღირსებისა შენისათვის და სასოდ სულთა და ხორცთა ჩუენთა.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ხოლო ამას ნეტარსა დაღაცათუ აქუნდა სიყუარული მღდელობისაი, შეზრუნდა სიტყუასა მათსა ზედა და შიში დაეცა სიახლისათვის ჰასაკისა მისისა და ჰრქუა მათ:

– და აწ პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის!

მაშინ მიუგეს ბრძენთა მათ მთავართა და ჰრქუეს:

– შენ მოგცა ქრისტემან კეთილი მოხუცებულებაი გონებისაი და აწ ნუღარა ურჩ იქმნები, არამედ მორჩილ იქმენ ბრძანებასა ქრისტეისსა და ჰმონე მას მღდელობითა...

ხოლო ნეტარი გრიგოლ დაემორჩილა მათ და ნებითა ღმრთისაითა იკურთხა ხუცად.

მაშინ მთავარნი იგი განიზრახვიდეს ეპისკოპოსობასა მისსა.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ ვითარცა იხილა თავი თვისი ხორციელად დიდებასა შინა, ფრიად წუხდა გული მისი და განიზრახა ფარულად სივლტოლაი თვისით ქუეყანით საღმრთოითა წოდებითა, რომელიცა უძღოდა მას მამათმთავრისა აბრაჰამის სახედ.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რას ნიშნავს სოლომონ ბრძენის სიტყვები?

ა) დუმილს ყოველთვის ბრძნული საუბარი სჯობს.
ბ) სიმართლის თქმა ყოველთვის გამართლებულია.
გ) დუმილი ბრძნულ მეტყველებაზე უმჯობესია.
დ) სიმართლის თქმით საქმე ყოველთვის ზიანდება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 3. ვინ მოიაზრება ფრაზაში: *„უდაბნოთა ქალაქმყოფელი“*?

ა) დაუსახლებელ ადგილებში სამონასტრო კერების დამფუძნებელი.
ბ) გახრიოკებულ მიწებზე სტრატეგიული სიმაგრეების მაშენებელი.
გ) უკაცურ ტერიტორიებზე ადამიანების ჩასახლების ორგანიზატორი.
დ) უდაბნოებში გაშენებულ ქალაქებში განათლების გამავრცელებელი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 4. მესამე აბზაცის მიხედვით, რა მნიშვნელობა ჰქონდა ხანძთისა და შატბერდის მშენებლობას?

ა) ადგილობრივ ფეოდალებს უდაბნოს მამებთან აახლოებდა.
ბ) საერო პირებს ქველმოქმედების შესაძლებლობას აძლევდა.
გ) დაკარგულ ტერიტორიებს ქვეყნის საზღვრებში აბრუნებდა.
დ) ბერ-მონაზვნებს ტაძრების აგების სურვილს უღვივებდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 5. რატომ იზრდებოდა გრიგოლი ნერსე ერისთავის ოჯახში?

ა) ნერსე ერისთავის მეუღლეს ნაშვილები ჰყავდა.

ბ) ნერსე ერისთავმა მონასტრიდან წამოიყვანა.

გ) ნერსე ერისთავთან დროებით იყო შეხიზნული.

დ) ნერსე ერისთავის მეუღლის დისშვილი იყო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 6. რომელ წინადადებაში ჩანს, რომ გრიგოლი არაქრისტიანულ ლიტერატურასაც ეცნობოდა?

ა) „საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა“.

ბ) „მწიგნობრობაიცა ისწავა მრავალთა ენათაი...“

გ) „გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნ“.

დ) „რამეთუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა „დავითი“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 7. რა მოსთხოვა გრიგოლს მისმა გარემოცვამ?

ა) უდაბნოში მონასტრები აეშენებინა.
ბ) სწავლა ხანძთაში გაეგრძელებინა.
გ) უფლის სამსახურში ჩამდგარიყო.
დ) ჰიმნოგრაფიული ტექსტები შეექმნა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 8. რომელ ფრაზაშია გამოყენებული სიტყვა *ქედმაღალი*?

ა) „არა იყო, ვითარცა ჭაბუკი, მზუაობარ და ჭამადთა გულისსათქუმელთა მოყუარე“.
ბ) „არამედ აწ მე ნაკლულევანებაი ჩემი არა მიფლობს დუმილად...“
გ) „რომელი პოვის სიტყუაი კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის“.
დ) „დაღაცათუ აქუნდა სიყუარული მღდელობისაი, შეზრუნდა სიტყუასა მათსა ზედა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 9. **რა არის გადმოცემული ფრაზაში:** *„იყო ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოლად კეთილ, სრულიად გუამითა მრთელ და სულითა უბიწო“*?

ა) პერსონაჟის გარეგნობა და შინაგანი ბუნება.
ბ) პერსონაჟის სწავლისადმი დამოკიდებულება.
გ) პერსონაჟის რწმენისადმი დამოკიდებულება.
დ) პერსონაჟის მეტყველება და საუბრის მანერა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 10. გრიგოლის რა თვისებაზე მიგვანიშნებს სიტყვები: *„კეთილი მოხუცებულებაი გონებისაი“*?

ა) ასაკისათვის შეუფერებელ სიბრძნეზე.
ბ) ასაკოვანი ადამიანების პატივისცემაზე.
გ) გონებამახვილურად საუბრის უნარზე.
დ) სულგრძელობის გამოჩენის სურვილზე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 11. რა სურდა გრიგოლს, როცა თავისი კუთხიდან წასვლა გადაწყვიტა?

ა) პირადი მწუხარების მარტოობაში გაქარვება.
ბ) ბიზანტიაში სასულიერო განათლების მიღება.
გ) საქართველოს უცნობი მხარეების მონახულება.
დ) ამქვეყნიური დიდებისთვის თავის არიდება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. კარგი განათლება და მტკიცე ნებისყოფა ადამიანს ძლიერ პიროვნებად აყალიბებს.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.